სავათნავას მიბაძვა

სავათნავა მქვიან, არუთინა ვარ,
ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ!
სავათნავა
ჭიანურო! მაღლად, ტკბილად დაუკარ!
ვინცა გაქოს. თავი მდაბლად დაუკარ,
შენსა მტერსა კბილის კრიჭა აუკარ!
ხინიკო, ხინკიკო!

* კაზარმობას

ავი კაცის წვერი წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ ღვინით აივსოს,
ჩემი გული კვალად ლხინით აივსოს,
ხინიკო, ხინკიკო!

ერთხელ მეც მეჭირა სიამის ვარდი,
შავმან ბედმან უცებ დამკრა, დავარდი,
სოფლის გარეს, ვაის მხარეს გავარდი!
ხინიკო, ხინკიკო!

უზრუნველად დავმღერდი ერთხელ მეცა...
გესლით სავსე აწ გულს ისარი მეცა...
ნუგეშად პყრობილსა მექმნას მე ცა!
ხინიკო, ხინკიკო!

ჭიანურო! აქვე გული მისმინა,
ვის ვეტრფოდი სულით, და მანც მისმინა...
სიამით აწ ვეღარ ვნახო მის მინა!
ხინიკო, ხინკიკო!

მაგონდების რა მის ღაწვზედა ხალი,
სიყვარულის გულს მეგზნება ას, ალი!
მოვშორდი, ვჰსცან ოხრვა, კვნესა ახალი.
ხინიკო, ხინკიკო!

სიყვარული არს თავის დავიწყება!
ვაის უფსკრულს ვგდივარ, დ მაგრამ გონება
მაინც მასვე შორით ეტრფიალება.
ხინიკო, ხინკიკო!

ბედმან ადრე მწარე ფიალით მასვა:
არ იშარა, გულს ლახვარი დამასვა!

არ მაკმარა, დ განმაშორაცა მას, ვა!
ხინიკო, ხინკიკო!

ბედო! ჩემის ლხინის ძაფი რად ჰსწყვიტე?
ჭიანურო! შენც სიმი რაღად ჰსწყვიტე!
მაშ შენც, ჩემო თავო უბედო, ხმა ჰსწყვიტე!
ხინიკო, ხინკიკო!

მოეც, მუშაკო,* ბულბულად ქებულო,
ჩემს ჭიანურს ადგილი წალკოტს** ბოლო.
ეგებ ვინმემ ჰსთქვას: ვაO გრიგოლ საბრალო!
ხინიკო, ხინკიკო!

1833 წ.